

## სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის  
დაგეგმვის მეთოდოლოგია

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

მუხლი 2. სტუდენტთა კონტინგენტის განმსაზღვრელი ფაქტორები;

მუხლი 3. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განმსაზღვრელი ფაქტორების მიხედვით  
სტუდენტთა კონტინგენტის გამოთვლა;

მუხლი 4. უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის  
დაგეგმვის მეთოდოლოგია განსაზღვრავს სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობებს  
უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამებისთვის.

2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედ საგანმანათლებლო  
პროგრამებზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა ხორციელდება ფაკულტეტების, კერძოდ  
- ფაკულტეტის დეკანებისა და პროგრამის ხელმძღვანელების უშუალო ჩართულობით.

### მუხლი 2. სტუდენტთა კონტინგენტის განმსაზღვრელი ფაქტორები

საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას მხედველობაში  
მიიღება შემდეგი ფაქტორები:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული  
პერსონალის რაოდენობა;

ბ) ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, განათლების,  
ჰუმანიტარულ და სოციალური მეცნიერებათა ფაკულტეტის, ბიზნესის ადმინისტრირების  
ფაკულტეტისა და იურიდიული ფაკულტეტის შემთხვევაში საბაკალავრო, სამაგისტრო,  
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკის ბაზებზე არსებული პერსონალის  
რაოდენობა;

გ) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის განკუთვნილი მატერიალურ-  
ტექნიკური ბაზა (ბიბლიოთეკის გამტარუნარიანობა, აუდიტორიების რაოდენობა და მათი  
გამტარუნარიანობა, ფაკულტეტების შემთხვევაში ლაბორატორიების რაოდენობა და მათი

გამტარუნარიანობა, ვეტერინარიის პროგრამებისთვის სიმულაციური ცენტრის გამტარუნარიანობა);

დ) საგანმანათლებლო პროგრამის დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა;

ე) საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნადობა (წინა წლების მონაცემებით პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობა);

ვ) პროგრამებზე მოთხოვნადობასთან დაკავშირებით წინა წლის მონაცემებისგან განსხვავებული მოლოდინები;

ზ) უნივერსიტეტისთვის დადგენილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა (უნივერსიტეტში მოქმედი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განსაზღვრული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინება).

თ) ქართულ ენაში მომზადების პროგრამებისათვის „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი პროცენტული მაჩვენებლები ბაკალავრიატში კონკრეტული სასწავლო წლისათვის მისაღები კონტინგენტიდან გამომდინარე, კერძოდ, აზერბაიჯანულენოვანთათვის 5%, სომხურენოვანთათვის 5%, აფხაზურენოვანთათვის 1% და ოსურენოვანთათვის 1%.

ი) მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის კონტინგენტი განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 29 აგვისტოს #147/ნ ბრძანებით.

კ) დამატებითი პროგრამებისთვის კონტინგენტის განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება დამატებითი პროგრამის მსურველთა რაოდენობა, თუ მათი რიცხვი 15 სტუდენტზე ნაკლებია, დამატებითი პროგრამა არ გაიხსნება და შეთავაზებული იქნება სხვა არჩევანი (გამონაკლისი შემთხვევა განიხილება უნივერსიტეტის მმართველი ორგანოების მიერ).

### **მუხლი 3. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განმსაზღვრელი ფაქტორების მიხედვით სტუდენტთა კონტინგენტის გამოთვლა**

#### **1. ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის პროცესში პროგრამაზე სტუდენტთა მაქსიმალური დაშვებული რაოდენობის გამოთვლა ხდება შემდეგნაირად:**

ა) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის გათვალისწინებით:

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის საჭირო რაოდენობასა და სტუდენტთა რაოდენობას შორის კავშირი რეგულირდება „სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამაზე აკადემიური და მოწვეული პერსონალის მინიმალური/მაქსიმალური დაშვებული რაოდენობები გამოითვლება შემდეგნაირად: საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში (ყველა საფეხურზე) ძირითადი სწავლის სფეროს

სავალდებულო სასწავლო კურსებზე ჩასატარებელი საათების მინიმუმ 51%-ს სავალდებულოა კითხულობდეს აფილირებული აკადემიური პერსონალი და შესაბამისად, მაქსიმუმ 49%-ს - მოწვეული პერსონალი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პროგრამის სპეციფიკა შესაძლოა საჭიროებდეს განსხვავებულ თანაფარდობას. ამ შემთხვევაში, აკადემიური პერსონალისთვის დადგენილი სამიზნე ნიშნულია მინიმუმ 40%.

$$\text{აკადემიური პერსონალის მინიმალური დასაშვები რაოდენობა} = \frac{[L(\frac{X_{st}}{L_{st}}/n) + P(\frac{X_{st}}{P_{st}}/n)] * 0,51}{H_{ac}}$$

სადაც,

L – საგანმანათლებლო პროგრამის კენტ/ლუწ სემესტრებში ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში კვირაში ჩასატარებელი სალექციო საათების რაოდენობა<sup>1</sup>;

P – საგანმანათლებლო პროგრამის კენტ/ლუწ სემესტრებში ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში კვირაში ჩასატარებელი პრაქტიკული მეცადინეობების საათების რაოდენობა<sup>2</sup>;

X st – საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული (აქტიური სტატუსის მქონე) სტუდენტების რაოდენობა;

L st – სასწავლო კურსების თეორიულ ნაწილზე დასაშვები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა;

P st – სასწავლო კურსების პრაქტიკულ ნაწილზე დასაშვები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა;

H ac - აკადემიური პერსონალისთვის კვირაში დაშვებული საათების მაქსიმალური საშუალო რაოდენობა;

n - საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო წლების რაოდენობა.

შენიშვნა:

1. ფორმულაში თანაფარდობები  $(\frac{X_{st}}{L_{st}})$  და  $(\frac{X_{st}}{P_{st}})$  მრგვალდება ყოველთვის მეტობით (მაგ. თუ თანაფარდობის შედეგად მიღებულია 1.1, შედეგი დამრგვალდება 2-მდე). მეტობით მრგვალდება თანაფარდობით მიღებული შედეგის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო წლების რაოდენობაზე განაყოფიც.

2. თანაფარდობები  $(\frac{X_{st}}{L_{st}})$  და  $(\frac{X_{st}}{P_{st}})$  იყოფა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო წლების რაოდენობაზე, ერთ კურსზე არსებული ჯგუფების საშუალო რაოდენობის გამოსათვალელად,

<sup>1</sup> ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსების ფარგლებში ჩასატარებელი სალექციო საათების გამოთვლა ხდება კენტ და ლუწ სემესტრებში ცალ-ცალკე, ხოლო მიღებული რიცხვებიდან ვიღებთ უდიდესს.

<sup>2</sup> ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსების ფარგლებში ჩასატარებელი პრაქტიკული საათების გამოთვლა ხდება კენტ და ლუწ სემესტრებში ცალ-ცალკე, ხოლო მიღებული რიცხვებიდან ვიღებთ უდიდესს.

ხოლო კვირაში ჩასატარებელი სალექციო და პრაქტიკული საათების სრული რაოდენობის გამოსათვლელად, საგანმანათლებლო პროგრამის კენტ/ლუწ სემესტრებში ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში კვირაში ჩასატარებელი სალექციო და პრაქტიკული საათების რაოდენობა მრავლდება ერთ კურსზე არსებული ჯგუფების საშუალო რაოდენობაზე.

ფორმულაში გამოყენებული დაშვებები (პერსონალისთვის დაშვებული მაქსიმალური საათების რაოდენობა, ჯგუფში სტუდენტთა მაქსიმალური დაშვებული რაოდენობა) რეგულირდება „სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით“.

კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დასაშვები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა აკადემიური პერსონალისთვის დადგენილი სამიზნე ნიშნულის გათვალისწინებით გამოითვლება აღნიშნული ფორმულის გამოყენებით. გამოთვლა ხორციელდება სტუდენტთა რაოდენობისთვის, ფორმულაში მითითებული სხვა სიდიდეების ფაქტობრივი მონაცემების გამოყენებით.

ზემოაღნიშნული ფორმულით ვეტერინარიისა და დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პრაქტიკის კომპონენტი გულისხმობს სხვადასხვა ტიპის პრაქტიკის ობიექტებზე (ვეტერინარიის საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: ფერმა, ვეტერინარული კლინიკა, აფთიაქი, ლაბორატორია და ა.შ. დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება) პრაქტიკის გატარებას. შესაბამისად, პრაქტიკის ბაზების მიხედვით სტუდენტთა მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა გამოითვლება თითოეული ტიპის პრაქტიკის ობიექტის შემთხვევაში და სტუდენტთა საბოლოო ზღვრული რაოდენობა მიიღება მათგან უმცირესი შედეგის არჩევით.

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკის გამტარუნარიანობა, აუდიტორიების რაოდენობა და გამტარუნარიანობა, ლაბორატორიების რაოდენობა და მათი გამტარუნარიანობა, სიმულაციური ცენტრის გამტარუნარიანობა) გათვალისწინებით პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა:

აუდიტორიები - მხედველობაში მიიღება საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში გამოყენებული აუდიტორიების რაოდენობა, ამასთანავე, ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიების ტევადობა (თითოეულ აუდიტორიაში სტუდენტთა ადგილების რაოდენობა) და სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობის საათებზე დაშვებული სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა, აუდიტორიების დღიური და კვირეული საათობრივი დატვირთვა, საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განსაზღვრული კვირეული საათების რაოდენობა.

ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით სტუდენტთა დასაშვები რაოდენობა სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობის აუდიტორიების მიხედვით გამოითვლება შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

სტუდენტთა დასაშვები რაოდენობა სალექციო აუდიტორიების მიხედვით  $\frac{Al*48}{Hl}n \cdot S_{el}$

სადაც,

$A_l$  – ლექციებისთვის განკუთვნილი აუდიტორიების რაოდენობა;

$H_l$  – საგანმანათლებლო პროგრამის კენტი/ლუწი სემესტრების კვირეული სალექციო საათები პროგრამის ხანგრძლივობით ჯამში;

$n$  – საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო წლების რაოდენობა;

$S_{el}$  – ლექციაზე დასაშვები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა;

48 – თითოეული აუდიტორიის მაქსიმალური კვირეული საათობრივი დატვირთვა (48 აკადემიური საათი), 6 დღიანი სასწავლო კვირის და თითოეული აუდიტორიის დღეში 8 საათით დატვირთვის პირობებში.

სტუდენტთა დასაშვები რაოდენობა პრაქტიკული მეცადინეობის აუდიტორიების მიხედვით

$$\frac{Ap*48}{Hp}n \cdot S_{tp}$$

სადაც,

$A_p$  – პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიების რაოდენობა;

$H_p$  – საგანმანათლებლო პროგრამის კენტი/ლუწი სემესტრების კვირეული პრაქტიკული მეცადინეობის საათები პროგრამის ხანგრძლივობით ჯამში 4;

$n$  – საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო წლების რაოდენობა;

$S_{tp}$  – პრაქტიკულ მეცადინეობაზე დასაშვები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა.

48 – თითოეული აუდიტორიის მაქსიმალური კვირეული საათობრივი დატვირთვა (48 აკადემიური საათი), 6 დღიანი სასწავლო კვირის და თითოეული აუდიტორიის დღეში 8 საათით დატვირთვის პირობებში.

**ლაბორატორიები/სასწავლო აუდიტორიები** - მხედველობაში მიიღება საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში გამოყენებული ლაბორატორიების რაოდენობა, მათი ტევადობა (თითოეულ ლაბორატორიაში სტუდენტთა ადგილების რაოდენობა) და ლაბორატორიული მეცადინეობის საათებზე დაშვებული სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა, ლაბორატორიების დღიური და კვირეული საათობრივი დატვირთვა, საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ლაბორატორიული მეცადინეობებისთვის განსაზღვრული კვირეული საათების მაქსიმალური შესაძლო რაოდენობა.

ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით სტუდენტთა დასაშვები რაოდენობა ლაბორატორიების მიხედვით გამოითვლება შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

სტუდენტთა დასაშვები რაოდენობა ლაბორატორიების მიხედვით  $\frac{A_{lab}*48}{H_{lab}}n \cdot S_{tlab}$

სადაც,

Alab – უნივერსიტეტში არსებული ლაბორატორიების რაოდენობა;

Hlab – საგანმანათლებლო პროგრამის კენტი/ლუწი სემესტრების კვირეული ლაბორატორიული მეცადინეობის საათები პროგრამის ხანგრძლივობით ჯამში 5;

n – საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო წლების რაოდენობა;

Stlab – ლაბორატორიულ მეცადინეობაზე დასაშვები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა;

48 – თითოეული აუდიტორიის მაქსიმალური კვირეული საათობრივი დატვირთვა (48 აკადემიური საათი), 6 დღიანი სასწავლო კვირის და თითოეული აუდიტორიის დღეში 8 საათით დატვირთვის პირობებში.

საგანმანათლებლო პროგრამის კენტი/ლუწი სემესტრების კვირეული ლაბორატორიული მეცადინეობის საათების (Hlab) გამოსათვლელად ჯამდება თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კონკრეტულ ლაბორატორიაში ჩასატარებელი კვირეული ლაბორატორიული მეცადინეობის საათები. გამოთვლებისთვის გამოიყენება იმ კვირის დატვირთვები, სადაც ყველაზე მეტი დროითაა თითოეული ლაბორატორია დატვირთული ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ჯამში.

სიმულაციური ცენტრი - მხედველობაში მიიღება საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სიმულაციურ ცენტრში არსებული ოთახების რაოდენობა, ოთახში ერთდროულად დაშვებული სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა, ოთახების დღიური და კვირეული საათობრივი დატვირთვა, საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სიმულაციურ ცენტრში ჩასატარებელი პრაქტიკული მეცადინეობის კვირეული საათების მაქსიმალური შესაძლო რაოდენობა.

ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით სტუდენტთა დასაშვები რაოდენობა სიმულაციური ცენტრის გამტარუნარიანობის მიხედვით გამოითვლება შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

სტუდენტთა დასაშვები რაოდენობა სიმულაციური ცენტრის მიხედვით  $\frac{Asc*48}{Hsc}n*Stsc$

სადაც,

Asc – სიმულაციურ ცენტრში არსებული ოთახების რაოდენობა;

Hsc – საგანმანათლებლო პროგრამის კენტი/ლუწი სემესტრების იმ სასწავლო კურსების კვირეული პრაქტიკული მეცადინეობის საათები პროგრამის ხანგრძლივობით ჯამში, რომლებიც ტარდება სიმულაციურ ცენტრში 6;

n – საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო წლების რაოდენობა;

StpSC – სიმულაციურ ცენტრში პრაქტიკულ მეცადინეობაზე ერთდროულად დასაშვები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა;

48 – თითოეული აუდიტორიის მაქსიმალური კვირეული საათობრივი დატვირთვა (48 აკადემიური საათი), 6 დღიანი სასწავლო კვირის და თითოეული აუდიტორიის დღეში 8 საათით დატვირთვის პირობებში.

**ბიბლიოთეკა** - მხედველობაში მიიღება ბიბლიოთეკის ტევადობა (ბიბლიოთეკაში სტუდენტთა ადგილების რაოდენობა), ბიბლიოთეკის სამუშაო საათების და სამუშაო დღეების რაოდენობა, სტუდენტის მიერ საშუალოდ ბიბლიოთეკაში გატარებული საათების რაოდენობა (აღნიშნული მონაცემის დათვლისას უნივერსიტეტი ეყრდნობა სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს მათ მიერ ბიბლიოთეკაში გატარებული საათების საშუალო რაოდენობის შესახებ).

სტუდენტთა დასაშვები რაოდენობა ზემოაღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\text{სტუდენტთა დასაშვები რაოდენობა საბიბლიოთეკო მონაცემების მიხედვით} = L_p \cdot \frac{Hl}{Hst} \cdot L_d$$

სადაც,

$L_p$  – ბიბლიოთეკაში სტუდენტთა ადგილების რაოდენობა;

$Hl$  - ბიბლიოთეკის სამუშაო საათების რაოდენობა დღეში (10 საათი, მედიცინის კორპუსის შემთხვევაში 13 საათი);

$Hst$  - ბიბლიოთეკაში სტუდენტის მიერ გატარებული საათების საშუალო რაოდენობა დღეში (გამოკითხვის საფუძველზე ერთი სტუდენტის მიერ ბიბლიოთეკაში გატარებული საათების რაოდენობად დადგენილია დღეში საშუალოდ 2 საათი);

$= \frac{Hl}{Hst}$  – ბიბლიოთეკის სამუშაო საათებისა და სტუდენტის მიერ ბიბლიოთეკაში გატარებული საშუალო დროის გათვალისწინებით სტუდენტთა ნაკადის შესაძლო რაოდენობა (5 ან 6 ნაკადი, 10 ან 13 საათიანი სამუშაო დღისა და იმ პირობის გათვალისწინებით, რომ სტუდენტი ბიბლიოთეკაში ატარებს საშუალოდ 2 საათს დღეში);

$L_d$  – ბიბლიოთეკის სამუშაო დღეების რაოდენობა (6 დღე).

საგანმანათლებლო პროგრამის დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის გათვალისწინებით პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა:

საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება სტუდენტთა და პროგრამის დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობების სათანადოდ მიღებული თანაფარდობა. დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტთა რაოდენობების სათანადო თანაფარდობად დადგენილია 300 სტუდენტზე 1 დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის არსებობა. აღნიშნულის გათვალისწინებით განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა დასაშვები რაოდენობა

$$\text{სტუდენტთა დასაშვები რაოდენობა დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის მიხედვით} = 300 \cdot X_{ad}$$

სადაც,

300 – ერთ სტუდენტზე დადგენილი დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის სათანადო რაოდენობა;

Xad - საგანმანათლებლო პროგრამის დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის არსებული რაოდენობა.

1. საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნადობის გათვალისწინებით პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა:

საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნადობა მოცემულ შემთხვევაში გულისხმობს პროგრამაზე წინა წლების მონაცემებით ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობის და ასევე, უნივერსიტეტის ფარგლებში სხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველ სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებას მომავალში პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება წინა წლების მონაცემების მიხედვით პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა ხვედრითი წილი და უნივერსიტეტისთვის დადგენილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა. პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა ხვედრითი წილის უნივერსიტეტისთვის დადგენილ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობაზე გამრავლებით განისაზღვრება თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა.

სტუდენტთა რაოდენობა საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნადობის მიხედვით =  $(\frac{Yp}{Yt}100)_{xt}$

სადაც,

Xt - უნივერსიტეტისთვის დადგენილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა;

Yt - უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთა მთლიანი რაოდენობა;

Yp - კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობა;

$\frac{Yp}{Yt}100$ - საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა ხვედრითი წილი.

2. საგანმანათლებლო პროგრამებს შორის სტუდენტთა რაოდენობის განაწილება შესაძლებელია შეიცვალოს უნივერსიტეტის სურვილის შესაბამისად, პროგრამების მოთხოვნადობასთან დაკავშირებით განსხვავებული მოლოდინის მიხედვით, მეთოდოლოგიის შესაბამისად თითოეული პროგრამისთვის შეფასებული რესურსის გათვალისწინებითა და უნივერსიტეტისთვის დადგენილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში.

#### **მუხლი 4. უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა**

უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა ხორციელდება წინამდებარე მეთოდოლოგიის შესაბამისად. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის პროცესში მხედველობაში მიიღება და გამოითვლება ზემოთ აღნიშნული თითოეული ფაქტორი და სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად განისაზღვრება თითოეულ შემთხვევაში გამოთვლის შედეგად მიღებულ სტუდენტთა მაქსიმალურ დაშვებულ რაოდენობებს შორის უმცირესი.



**სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის**  
**სტუდენტთა კონტინგენტის მონიტორინგის**  
**პროცედურა**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. სტუდენტთა კონტინგენტის მონიტორინგის პროცედურის მიზანია უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ზღვრული რაოდენობის ფარგლებში სტუდენტთა ჩარიცხვით არსებული ნიშნულების კონტროლი და უნივერსიტეტისთვის განსაზღვრული სტუდენტების საერთო რაოდენობის გადაჭარბების პრევენცია; რეგულაცია ხელს უწყობს უნივერსიტეტის ინსტიტუციურ მდგრადობას და სასწავლო პროცესის ეფექტიან დაგეგმვას.
2. უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას ამტკიცებს ავტორიზაციის საბჭო;
3. სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობების განსაზღვრა ხდება:
  - ა) ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში - ავტორიზაციის ვადით;
  - ბ) სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში - ავტორიზაციის დარჩენილი ვადით.
4. უნივერსიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტთა/სტუდენტთა მიღება სტუდენტთა კონტინგენტის ზღვრული რაოდენობის ფარგლებში;
5. სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა მოიცავს სადოქტორო, სამაგისტრო, საბაკალავრო, ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხულ პირთა რაოდენობას.

**მუხლი 2. უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ზღვრული რაოდენობის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა ვაკანტური ადგილების განსაზღვრის წესი**

1. უნივერსიტეტი შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ პირთა ადგილების რაოდენობას განსაზღვრავს უნივერსიტეტისთვის დამტკიცებული სტუდენტთა კონტინგენტის ზღვრული რაოდენობის ფარგლებში.
2. შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ აბიტურიენტთა/სტუდენტთა და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღებ პირთა ადგილების რაოდენობის გაანგარიშება ხდება სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამისთვის დადგენილი რაოდენობის გათვალისწინებით, პროგრამების მიხედვით საგანმანათლებლო დაწესებულების რექტრის მონაცემების, აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა ფაქტობრივი მონაცემების, ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო

სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უნივერსიტეტის მიერ აბიტურიენტთა მიღების გათვალისწინებით.

3. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება უნივერსიტეტის სტუდენტების საერთო რაოდენობის ფარგლებში.

4. სტუდენტის სტატუსის აღდგენა უნივერსიტეტში დასაშვებია სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლების გადაჭარბებით. ამ შემხვევაში სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება მომდევნო სასწავლო წლისათვის უნივერსიტეტის მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

5. ერთიანი ეროვნული გამოცდის/საერთო სამაგისტრო გამოცდის, მასწავლებლის სასერტიფიკატო გამოცდის ჩაბარებით უნივერსიტეტის მიერ აბიტურიენტთა მიღების გამოცხადება:

ა) ამ კატეგორიას დაქვემდებარებულ აბიტურიენტთა მიღების მიზნით უნივერსიტეტი აბიტურიენტთა ჩარიცხვის წლის წინა წლის 10 დეკემბრამდე განსაზღვრავს საბაკალავრო, სამაგისტრო, ერთსაფეხურიან, ინტეგრირებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღებ სტუდენტთა ადგილების რაოდენობას;

ბ) უნივერსიტეტი აბიტურიენტთა ჩარიცხვის წლის წინა წლის პირველი დეკემბერი ან 15 დეკემბრამდე, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ელექტრონული ფორმით ავსებს სპეციალურ ანკეტა-კითხვარს, სადაც განსაზღვრულია მომდევნო წლისთვის მისაღები საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტების რაოდენობა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

გ) უნივერსიტეტი სამაგისტრო გამოცდების ჩატარების წლის პირველი თებერვლიდან 10 თებერვლამდე შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში ელექტრონული ფორმით ასახავს სპეციალურ ანკეტა-კითხვარს და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ანოტაციას.

6. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უნივერსიტეტის მიერ აბიტურიენტთა მიღების გამოცხადება:

ა) ამ კატეგორიას დაქვემდებარებულ აბიტურიენტთა მიღების მიზნით უნივერსიტეტი აბიტურიენტთა ჩარიცხვის წლის წინა წლის 10 დეკემბრამდე განსაზღვრავს მომდევნო წლისთვის მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

ბ) უნივერსიტეტი უფლებამოსილია გასცეს თანხმობა/მოწვევა და განახორციელოს ჩარიცხვა ამ კატეგორიას დაქვემდებარებულ აბიტურიენტებზე.

7. ამ პროცედურის მე-2 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტით განსაზღვრული ადგილების გამოცხადების, ასევე, მობილობით მისაღები სტუდენტების ადგილების გამოცხადების დროს უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს:

ა) უნივერსიტეტისთვის დადგენილი მისაღებ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობით;

ბ) უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით რესურსების შეფასების შედეგად საგანმანათლებლო პროგრამებისთვის დადგენილი სტუდენტთა რაოდენობებით;

გ) საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის ფაქტობრივი მონაცემებით აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების შესახებ;

დ) შესაბამის წელს პოტენციური კურსდამამთავრებლების რაოდენობით, რომლებსაც მიენიჭება კვალიფიკაცია სტუდენტების ახალი ნაკადის მიღებამდე;

ე) ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უნივერსიტეტის მიერ აბიტურიენტთა მიღების მიზნით გაცემული იმ თანხმობების რაოდენობით, რომელთა საფუძველზეც ჯერ არ განხორციელებულა ჩარიცხვა.

8. სტუდენტთა კონტინგენტის ზღვრული რაოდენობის ფარგლებში გადაჭარბების პრევენციის მიზნით, მომდევნო წლისათვის სტუდენტთა ადგილების განსაზღვრის დროს უნივერსიტეტი აანალიზებს წინა წლების პრაქტიკას სტუდენტთა გადინების, სტატუსის შეჩერებისა და სტატუსის აღდგენის დინამიკას.

9. უნივერსიტეტის მიერ სტუდენტთა საერთო კვოტის ფარგლებში მისაღებ პირთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის პროცესს კოორდინაციას უწევს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური.

10. კონკრეტული წლისთვის უნივერსიტეტის მისაღები სტუდენტების საერთო რაოდენობა განისაზღვრება ფაკულტეტის დეკანების მიერ პროგრამის ხელმძღვანელებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად და განსაზღვრული რაოდენობები წარედგინება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.

11. საზღვრაგრეთთან ურთიერთობების მიმართულებით კოორდინაციას უწევს ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვას დაქვემდებარებულ პირებზე თანხმობის გაცემის და სტუდენტების ჩარიცხვის პერიოდისთვის სტუდენტთა საერთო კვოტის ფარგლებში არსებულ მდგომარეობას.

12. ფაკულტეტზე ახალი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების ან/და მარკეტინგული კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე, მიმდინარე წლისთვის განსაზღვრული მისაღები კონტინგენტის რაოდენობა, შესაბამისი წლისთვის მისაღები სტუდენტების რაოდენობის ფარგლებში და რესურსების გათვალისწინებით, შესაძლებელია დაკორექტირდეს რექტორის ბრძანებით.

### **მუხლი 3. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა**

#### **უნივერსიტეტი ვალდებულია:**

1. შესაბამის საბაკალავრო და ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენისა და ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე ჩარიცხოს აბიტურიენტი.

2. საერთო სამაგისტრო გამოცდების, უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის შედეგებისა და მაგისტრანტთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე შესაბამისი კვოტის ფარგლებში ჩარიცხოს მაგისტრანტობის კანდიდატი.

3. ჩარიცხოს მობილობის წესით უნივერსიტეტში გადმოსული ის სტუდენტები, რომლებმაც განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონული პორტალის

მეშვეობით სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს უნივერსიტეტში, წარმოადგინეს უნივერსიტეტში შესაბამისი დოკუმენტაცია, დააკმაყოფილეს უნივერსიტეტის მიერ ჩარიცხვისთვის დადგენილი შიდა პროცედურები, განაცხადეს თანხმობა აღიარებული კრედიტების თაობაზე და მიიღეს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დადებითი დასკვნა.

4. ერთიანი ეროვნული გამოცდის/საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე კანონმდებლობისა და საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისი პროცედურების დაცვით ჩარიცხოს პირი, რომელზეც გაცემულია თანხმობა/მოწვევა და გაიარა უნივერსიტეტის შიდა გასაუბრება/გამოცდა და დაადასტურა პროგრამის შესაბამისი სწავლების ენობრივი კომპეტენცია.

5. ამ მუხლით განსაზღვრული ჩარიცხვის დროს სტუდენტთა ადგილების რაოდენობა არ უნდა აჭარბებდეს უნივერსიტეტის საერთო მაქსიმალურ კვოტას.

#### **მუხლი 4. კანონმდებლობით გათვალისწინებული დაშვებები**

1. უნივერსიტეტისთვის განსაზღვრული სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გადაჭარბება არის ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი, გარდა სტუდენტის სტატუსის აღდგენის ან უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვისას სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გადაჭარბების კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულზე ან საგანმანათლებლო პროგრამაზე თუ მობილობის მსურველთა განაცხადების რაოდენობა რეგისტრირებული ადგილების რაოდენობაზე მეტია, უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლებას მიიღებენ დაწესებულების მიერ რეგისტრირებული ადგილების შესაბამისი რაოდენობის სტუდენტები, რომელთა ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგები აღემატება მობილობის სხვა მსურველთა შესაბამის შედეგებს.

3. ამ წესის მე - 3 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტის შესაბამისად თუ ბოლო საკონკურსო ადგილზე გასულია 2 ან მეტი სტუდენტი, დაწესებულება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანხმობით იღებს გადაწყვეტილებას ამ საგანმანათლებლო პროგრამისათვის ადგილის/ადგილების დამატების თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებაში არ არსებობს სტუდენტების რაოდენობის ფარგლებში ვაკანტური ადგილი, დაწესებულების მიმართვის საფუძველზე ცენტრი უმატებს მას სტუდენტთა მისაღებ ადგილებს იმ რაოდენობით, რაც აუცილებელია ამ პუნქტით განსაზღვრული თანაბარქულიანი მობილობის მსურველების ჩასარიცხად. ამ შემთხვევაში დამატებული ადგილების რაოდენობა გამოაკლდება დაწესებულებისათვის მომდევნო სასწავლო წელს მისაღებ სტუდენტთა ადგილების რაოდენობას.

მუხლი 5. პროცესში ჩართული პირები პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით უნივერსიტეტის სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის პროცესში და მონიტორინგის პროცედურებში ჩართული სტრუქტურული ერთეულები და პირები:

ა) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;

- ბ) საზღვარგარეთთან ურთიერთობების სამსახური;
- გ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
- დ) ფაკულტეტების დეკანები;
- ე) პროგრამის ხელმძღვანელები;
- ვ) იურიდიული სამსახური;
- ზ) ფაკულტეტების სპეციალისტები;
- თ) სასწავლო პროცესის მართვის სამსახური.

### **მუხლი 6. ჩარიცხვის პროცესების შეფასება და შედეგების გამოყენება**

1. პროცესების პერიოდულ და საბოლოო შეფასებას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეესტრის ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული მისაღები სტუდენტების რაოდენობის ფარგლებში მონიტორინგს ახორციელებს:
  - ა) ერთიანი ეროვნული გამოცდებით მისაღები აბიტურიენტების რაოდენობის გამოცხადების და ჩარიცხვის პერიოდისთვის;
  - ბ) მობილობის წესით მისაღები სტუდენტების რაოდენობის გამოცხადების და ჩარიცხვის პერიოდისთვის;
  - გ) სამაგისტრო პროგრამაზე მისაღებ პირთა ადგილების გამოცხადებისა და ჩარიცხვის პერიოდისთვის;
  - დ) ერთსაფეხურიან პროგრამაზე მისაღებ პირთა ადგილების გამოცხადებისა და ჩარიცხვის პერიოდისთვის;
  - ე) ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე პირთა თანხმობის გაცემისა და ჩარიცხვის პერიოდისთვის.
3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აღნიშნული ეტაპების მონიტორინგის პროცესში ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით სტუდენტთა საერთო კონტინგენტის გადაჭარბების რისკების დადგომის შემთხვევაში მყისიერად მიმართავს რექტორს მიმდინარე წლისთვის განსაზღვრული მისაღები სტუდენტების კვოტის ფარგლებში ცვლილების განხორციელების თაობაზე.